TBILISI MUNICIPALITY
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
PROPERTY MANAGEMENT AGENCY

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

№ 01-4/40
"25" 03 2015

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა #71-ის მიმდებარედ 180 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.097.) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ენეტისთვის" (ს/კ:202454192) იჯარით გადაცემის შესახებ

ქ. თბილისის მთავრობის 25.08.15.წ. #34.23.1017 განკარგულებით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17.09.15.წ. #358 განკარგულებით დაკმაყოფილდა შპს „ენეტის" დირექტორის გიორგი კალაძის ელექტრონული განცხადებით (QN1325717) წარმოდგენილი თხოვნა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა #71-ის მიმდებარედ 180 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.097.) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ენეტ'რსთვის" (ს/კ:202454192) იჯარით გადაცემის შესახებ, სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის #1874649 გადაწყვეტილების და შპს „რიალ აუდიტის" 27.07.2015 წ. #86 აუდიტორული დასკვნის გათვალისწინებით.

ქ. თბილისის მთავრობის 27.07.15.წ. #34.23.1017 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17.09.15.წ. #358 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22.12.14წ. #19-73 დადგენილებით დამტკიცებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს ელექტრონული განცხადება (QN1325717) და შპს „ენეტს"(ს/კ:202454192) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაეცეს, ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა #71-ის მიმდებარედ 180 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.097.), ღია საზაფხულო კაფის განთავსების მიზნით.
2. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 10 წლის ვადით.
3. საიჯარო პირობები განისაზღვროს ბრძანების დანართით.
4. წინამდებარე ბრძანება შპს „ენეტის"(ს/კ: 202454192) ელექტრონულ განცხადებასთან ერთად, გაცნობისთანავე გათანაბრებულია ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს თანდართული საიჯარო პირობები.
5. საიჯარო ურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით) და შპს „ენეტს" (ს/კ:202454192).
6. წინამდებარე ბრძანებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი **კარლო ლაფერაძე**

თბილისი შარტავას ქუჩა #7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge